

დიორიტის პრეზენტაცია

დიორიტი (ფრანგ.**Diorite**, ბერძ. **Diorízo** ვარჩევ) ნაცრისფერი-მომწვანოში, გარდამავალი, სრულკრისტალური, საშუალო სიმჟავიანობის მაგმური, ინტრუზიული ქანი. გავრცელებულია და გვხვდება გრანიტოიდულ ინტრუზიებში უბნების სახით. ზოგჯერ ქმნის შტოკს,დაიკს,ლაკოლითს.დიორიტის საბადოები ცნობილია დიდ ბრიტანეთში,იტალიაში,გერმანიაში,ფინეთში,შვედეთში,რუმინეთში,თურქეთში,ეგვიპტეში,ახალ ზელანდიაში,აშშ-ში.დიორიტი გავრცელებულია საქართველოშიც.

ჩვენი დიორიტის საბადო აღმოჩენილია აჭარის მაღალმთიანეთში. ხულოს მუნიციპალიტეტში სოფ.კურცხლის მიმდებარედ არსებობს კლდის მასივი ე.წ. „კილდეშამფური“,რომლის ასაკი 5-6 მილიონი წელია.

ქვა ნაცრისფერია.ის შეიცავს ფელდსპარს,რის გამოც მას აქვს მომწვანო ელფერი.

აჭარაშიაღმოჩენილი დიორიტის შემცველობა რენტგენოფლუორესცენციური მეთოდით შემდგენაირია:

1. **SiO₂ – 47.21%**
2. **Al₂O₃ -15.37%**
3. **Fe₂O₃+FeO -10.30%**
4. **TiO₂ - 1.29%**
5. **MnO – 0.22%**
6. **MgO – 5.45%**
7. **CaO – 9.05%**
8. **K₂O – 1.21%**
9. **Na₂O – 5.21%**

დიორიტის შემადგენლობაში შედის:

პლაგიოკლაზი,რქატყუარა,პიროქსენი,ბიოტიტი,კვარცი,ამფიბოლი.ქანი საშუალო მჟავიანობისაა.სრულკრისტალურია,არათანაბარმარცვლოვანია. ჭარბობს პლაგიოკლაზის პრიზმული კრისტალები, ასევე გვხვდება პიროქსენისა და ამფიბოლის სხვადასხვა ზომის მარცვლები.

კილდეშამფურის დიორიტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

1. ჩონჩხის სიმკვრივე -**2.66გ/სმ³**
2. მინერალური ნაწილაკის (სიმკვრივე)-**2.74გ/სმ³P**
3. მოცულობითი წონა (სიმკვრივე)-**2.67გ/სმ³P**
4. წყალშთანთქმა-**0.24 Wშ%**
5. წყალნაჯერობის კოეფიციენტი -**0.70K წ.წ.**
6. ფორიანობა - **2.9N%**
7. სიმტკიცის ზღვარი ერთლერმა კუმშვაზე მშრალ მდგომარეობაში -
1180კგ/სმ²R ბუნ.
8. სიმაგრის კოეფიციენტი - 9,71f ქანი მიეკუთვნება მესამე
კატეგორიის მაგარ ქანებს (მკვრივი)
9. Rc-ს მიხედვით (წყლით) ქანი მტკიცეა (Rc-1200-500-მდე კგ.ძ/სმ²)
- 10.ცვეთის მიხედვით (Ke -0.009) ქანი მიეკუთვნება ძალიან მტკიცე
ქანებს.
- 11.ყინვაშედეგობა - ყინვაგამძლეა.